წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

მუნიციპალიტეტის მერი გენადი ბალანჩივაძე

საანგარიშო პერიოდი - 2022 წლის იანვრიდან 2022 წლის 31 ოქტომბრამდე

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერის ხელმძღვანელობითა და კოორდინაციით 2022 წლის 10 თვის განმავლობაში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემავალი სტრუქტურული ერთეულები აქტიური მუშაობით ახორციელებდნენ კონკრეტულ ღონისძიებებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ერთიანი ეკონომიკური, სოციალური და კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობისათვის. მერიის მიერ სისტემატურად ხორციელდებოდა 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული მიზნობრივი პროგრამების, პროექტების შემუშავების სამუშაოთა კოორდინაცია და მათი შესრულების კონტროლი.

საანგარიშო პერიოდში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილება ხორციელდებოდა მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების; საფინანსო - საბიუჯეტო; ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის; ინფასტრუქტურისა და კეთილმოწყობის, ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის; კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა; სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის; შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურების მეშვეობით.

2022 წლის 10 თვის განმავლობაში დამუშავდა 4665 განცხადება და 4164 შემოსული წერილი, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს გაეგზავნა 4277 წერილი, გამოიცა 3324 ნორმატიული აქტი (ბრძანებები) გაგზავნილი იქნა 888 საფოსტო გზავნილი.

განვლილ პერიოდში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოვიდა 54 წერილი და განცხადება. წერილები და განცხადებები დაკმაყოფილდა დადებითად, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმისა და შესაბამისი გასაჩივრების ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.

საჯარო მოხელეები მონაწილეობდნენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის" უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა სიის მონიტორინგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების, მოქალაქეთა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის ღონისძიებების, პირის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ამორტიზებული

ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის, არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის განხორციელების კომისიების სხდომებში.

2022 წლის 10 თვის განმავლობაში მომზადდა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარედგინა 22 დადგენილებისა და 4 განკარგულების პროექტი.

• უზრუნველყოფილი იქნა სასამართლოში წარსადგენი საპროცესო დოკუმენტაციის (სარჩელი, განცხადება, შუამდგომლობა, შესაგებელი, საჩივარი და ა.შ) მომზადება. 50 ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეზე და მათი კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში წარდგენის უზრუნველყოფა შესაბამისი ინსტანციის სასამართლოში. მინდობილობის საფუძველზე უზრუნველყოფილი იქნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კანონიერი ინტერესების დაცვა სასამართლოში 16 საქმეზე, აქედან 5 სამოქალაქო საქმეზე და 11 ადმინისტრაციულ საქმეზე. აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სასამართლო სხდომები (მოსამზადებელი, მთავარი). დღეის მდგომარეობით უმრავლესობა განხილვის ეტაპზეა და არ არის დასრულებული.

2022 წლის 10 თვის განმავლობაში მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი მიენიჭა 10 პირს, ხოლო სტასტუსი გარდაცვალების გამო შეუწყდა 2 პირს.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებსა და ქალაქ წყალტუბოს მჭიდროდ დასახლებულ უბნებში განხორციელდა მოსახლეობასთან ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი პირების 50-ზე მეტი შეხვედრა.

მომზადდა ორი პრეზენტაცია - „ინფრასტრუქტურა 2022'' და „ წყალტუბო მედიკოსთა ქალაქი''.

აღნიშნულ პერიოდში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განვითარებული მოვლენების, სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი პირების ოფიციალური შეხვედრების, თათბირების, კონფერენციების, ფესტივალების, ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციები განთავსებული იქნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ოფიცალურ ვებგვერდზე (www tskaltubo. Gov. ge), ასევე სოციალურ ქსელში კერძოდ, ფეისბუქის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ გვერდსა და მერის გენადი ბალანჩივაძის გვერდზე, აღნიშნული მასალები გავრცელდა სააგენტოების (,,აიპრესის'', ,,ფრონტნიუსის'' ,,იმედის'')გვერდებზე, ყველა მასშტაბური პროექტისა და ღონისძიების შესახებ ინფორმაციები გადაიცა ცენტრალური და რეგიონული ტელევიზიების ეთერით. გაკეთდა 2022 წლების განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების არქივი.

2. **მუნიციპალიტეტის მერმა მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ურთიერთობის სფეროში განახორციელა შემდეგი საქმიანობა:**

1. 2022 წლის 10 თვის განმავლობაში მომზადდა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარედგინა 22 დადგენილებისა და 4 განკარგულების პროექტი.

2. საკრებულოს თავმჯდომარეს რიგგარეშე სხდომების მოწვევის თაობაზე გაუგზავნა 4 წერილი

საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატანი 4 ცვლილება

3. მუნიციპალიტეტის მერის მიერ საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის სფეროში განახორციელებული საქმიანობის შედეგად :

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი 31.10.2019-ისთვის განხორციელებული ცვლილებების შედეგად შეადგენს - 37 339 541 ლარს.

მათ შორის:

ქონების გადასახადი - 2 290 000 ლარი.

არასაგადასახადო შემოსავლები (სხვა შემოსავლები) – 3 156 275 ლარი.

არაფინანსური აქტივების კლება - 300 000 ლარი.

დამატებითი ღირებულების გადასახადი - 15 440 000 ლარი.

მიზნობრივი ტრანსფერი - 190 000 ლარი.

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები-1986 ლარი.

ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი - 9 600 077 ლარი.

წლის დასაწყისისთვის არსებული ნაშთიდან მიიმართა ბიუჯეტში - 6 361 203 ლარი.

4. **მუნიციპალიტეტის მერმა ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში განახორციელა შემდეგი საქმიანობა:**

მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე შესრულებული იქნა შემდეგი სამუშაო:

საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისა და ქონების განკარგვის მიზნით სახელმწიფოდან გადმოცემული იქნა 5 ერთეული ქონება.

სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული იქნა 4 ერთეული უძრავი ქონება.

ა(ა)იპ ,,წყალტუბოს კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურს'' საკუთრებაში გადაეცა მოძრავი ქონებები (სპეცავტომანქანა და ნაგვის ურნები). ასევე, ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს'' საკუთრებაში გადაეცა მოძრავი ქონებები.

მოსახლეობის მომსახურეობის მიზნით იჯარით გაიცა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაზობრივი ნაგებობები-გარე განათების ბოძები.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შენობა-ნაგებობების იჯარიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 50962 ლარი, არასასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვიდან შემოსულმა თანხამ-49155 ლარი

არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გაიცა 9 საცხოვრებელი ბინა.

ამ პერიოდში ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებულ იქნა 6 ერთეული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება. პრივატიზებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 50,502.00 ლარი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია 37 მუნიციპალიტეტიდან ოთხ მუნიციპალიტეტთან ერთად შერჩეულ იქნა ინოვაციების პროექტის განსახორციელებლად ურბანული წარმოსახვის შესახებ პროექტში, რომლის ფარგლებში მუნიციპალიტეტი დაფინანსდა 60 000 ევროთი, რომელიც გამოყენებულ იქნება ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის ეზოში მდებარე ამფითეატრის რეაბილიტაციისა და სველი წერტილების მოსაწყობად.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი გამარჯვებულია ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში თემაზე -,,ურბანულ გარემოში არსებული მწვანე სივრცეების ათვისება'', რომლის ფარგლებშიც ნიკო ლორთქიფანიძის სახლ მუზეუმის ტერიტორიაზე შეიქმნება საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც აღიჭურვება შესაბამისი ინვენტარით. პროექტის ღირებულება შეადგენს 20 000 ევროს.

5. **მუნიციპალიტეტის მერმა აღმასრულებელი საქმიანობის სხვა სფეროებში განახორციელა შემდეგი საქმიანობა:**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებისათვის გათვალისწინებულ იქნა 1 612 755 ლარი. მათ შორის:

ას წელს გადაცილებულთა მატერიალური წახალისებისათვის - 4000 ლარი

სარიტუალო ხარჯებისათვის - 17 000 ლარი

მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური წახალისებისათვის - 111 600 ლარი

ერთჯერადი ფულადი დახმარებებისათვის - 604 200 ლარი

სამედიცინო თანადაფინანსების პროგრამებისათვის - 605 300 ლარი

სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარების მიზნით - 142 600 ლარი.

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მესამე შვილის შეძენის გამო -500 ლარი დახმარების სახით მიიღო 39-მა ოჯახმა, მეოთხე შვილის შეძენის გამო 700 ლარი- 9 ოჯახმა, მეხუთე და მეტი შვილის შეძენის გამო ორმა ოჯახმა-1000 ლარი, სოციალურად დაუცველმა მრავალშვილიანმა 145-მა ოჯახმა- 300 ლარი.

სარიტულაო მომსახურების თანადაფინანსების ფარგლებში გარდაცვლილი დევნილის და ომის მონაწილის ოჯახის 34 წევრმა დახმარების სახით მიიღო 250 ლარი.

ერთჯერადი ფულადი დახმარების ფარგლებში, სოციალურად დაუცველმა, 65 000-დან 100 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე 156-მა საარსებო შემწეობის მიმღებმა და სოციალურად დაუცველმა 0-დან 65 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ახალშობილის ოჯახმა, 63-მა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და 55-მა ფსორიაზით დაავადებულმა პირმა დახმარების სახით მიიღო 300 ლარი.

ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე 23-მა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე 453-მა და სხვა სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლმა 31-მა პირმა დახმარების სახით მიიღო 350 ლარი.

ცერებრალური დამბლით დაავადებულმა 82-მა პირმა, დედ-მამით ობოლმა 3-მა, ფენიკელტონურიით დაავადებულმა 7-მა და ონკოლოგიური დაავადების მქონე 1-მა ბავშვმა დახმარების სახით მიიღო 1500 ლარი.

დიდი სამამულო ომის 2-მა მონაწილემ დახმარების სახით მიიღო 1000 ლარი.შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 63-მა ბავშვმა და მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე 43-მა პირმა დახმარების სახით მიიღო 300 ლარი. თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე: ჰემოდიალიზზე და პერიტონეულ დიალიზზე დამოკიდებულმა 37 -მა პირმა დახმარების სახით მიიღო 2000 ლარი. 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული

მთლიანობისათვის საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 4 პირის ოჯახის წევრებს გადაეცათ 1800-1800 ლარი.

პარკინსონით დაავადებულმა 55-მა პირმა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 94-მა პირმა, რომელსაც მიენიჭა სტატუსი თვალის დაავდების დიაგნოზით, მიიღო დახმარების სახით 300ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებმა 19-მა პირმა, რომელთაც საცხოვრებელი სახლი არ გააჩნიათ ან საცხოვრებელი სახლი დაენგრათ, დაეწვათ და მასში ცხოვრება სიცოცხლისთვის საშიშია, მუნიციპალიტეტი ბიუჯეტიდან ყოველთვიურად გამოუყოფს ბინის ქირის ასანაზღაურებელ თანხას 250 ლარის ოდენობით, ასევე ბინის ქირით არიან უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან, კერძოდ კი მინდობით აღზრდიდან ან მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვნობის მიღწევის გამო ამორიცხული 18-დან 21 წლამდე 2 ახალგაზრდა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ასევე გათვალისწინებულია ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების თანადაფინანსება, რომელთა სოციალური მდგომარეობა მძიმეა მშობლების: გარდაცვალების, უგზოუკვლოდ დაკარგვის, მარჩენალის დაკარგვის, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში მსჯავრდებულის პატიმრობაში ყოფნის გამო. სტუდენტების თანადაფინანსება განისაზღვრა გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს 2000 ლარისა.აღნიშნული პროგრამით ამ ეტაპზე ისარგებლა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულმა ერთმა სტუდენტმა.

სააღდგომოდ დაახლოებით 50 ლარის ღირებულების კვების პროდუქტები მიიღეს საჩუქრად მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულმა სოციალურად დაუცველმა ოჯახებმა (სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებული), რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი შვილი, დედ-მამით ობოლმა ბავშვებმა, 100 წელს გადაცილებულმა პირებმა, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანებმა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებმა.

2022-2023 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრი ,,ჩვენი სახლის" 20-მა ბენეფიციარმა ბავშვმა დახმარების სახით მიიღო 150-150 ლარი.

სამედიცინო თანადაფინანსების მიზნით მკურნალობა - ოპერაციისათვის დახმარება გაეწია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 883 მოქალაქეს. 18 წლამდე ასაკის 1 ბავშვს გაეწია სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება 5000 ლარის ოდენობით,რომლის მკურნალობა ვერ ხეხრდება საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში.აუტიზმის სპექტრის მქონე 41 ბავშვზე გაიცა საგარანტიო წერილი.

დახმარება მიიღო ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებმა სტიქიის შედეგად დაზარალებულმა 66-მა ოჯახმა.

მიმდინარე წლის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით 150 ლარიდან 250 ლარამდე გაეზარდათ ყოველთვიური ბინის ქირის გადასახდელი თანხა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უსახლკარო ოჯახებს, რომელთაც საცხოვრებელი სახლი დაინგრათ დაეწვათ ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გაუხდათ და ოჯახური ძალადობის მსხვერპლის სტატუსის

მქონე პირებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან, კერძოდ კი მინდობით აღზრდიდან ან მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვნობის მიღწევის გამო ამორიცხულ ახალგაზრდებს.

არქიტექტურა და სივრცითი მოწყობა

2022 წლის 10 თვის განმავლობაში ადგილობრივ ბიუჯეტში დასუფთავების მოსაკრებლიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა- 126 615 ლარი.

2022 წლის 10 თვის განმავლობაში გამოვლენილ იქნა სამშენებლო სამართალდარღვევის 34 ფაქტი და გამოყენებულ იქნა კანონით გათვალისწინებული ზომები. სამშენებლო სამართალდარღვევებიდან ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ შეადგინა 21 500 ლარი.

არქიტექტურის სამსახურის მიერ მშენებლობის ნებართვა გაიცა 34 ობიექტზე.
ექსპლოატაციაში მიღებულ იქნა 10 ობიექტი.
დარეგისტრირდა ბინათმესაკუთრეთა 2 ამხანაგობა.
მშენებლობის მოსაკრებლიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 26 090 ლარი.

გაზიფიცირებისათვის ნებართვა გაიცა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 6 სოფელში (ცხუნკურში, ყუმისთავში, ჯონეთში, სორმონში, ოფურჩხეთსა და ნამოხვანში).

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა მონიტორინგის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოავლინა, როგორც სახელმწიფო და მუნიციპალური, ასევე კერძო მესაკუთრეების საკუთრებაში არსებული უსახური შენობები. მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, რათა მოხდეს არსებული შენობის ფასადის იერსახის მოწესრიგება ან ჩაუტარდეს დემონტაჟი, თუ რომელიმე კონკრეტული შენობა ავარიულია და ის საფრთხეს წარმოადგენს მოქალაქეებისათვის.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში, ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ, მეორადი ავტონაწილებით მოვაჭრეთა მიმართ პერმანენტულად ტარდებოდა უკანონო გარევაჭრობის, გარემოს დაბინძურების, იერსახის დამახინჯების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები და ასევე, კეთილმოეწყო მიმდებარე ტერიტორია.

სამხედრო აღრიცხვა გაწვევა და მობილიზაცია

2022 წლის იანვრიდან 31 ოქტომბრამდე პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილ იქნა 257 მოქალაქე, გამწვევ კომიასიაზე გამოძახებული წვევამდელებიდან, საქართველოს შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში ჩაყვანილ იქნა 110 წვევამდელი, მათგან საქართველოს სამხედრო ძალებში გაწვეულ იქნა -17, დამატებით, სამედიცინო გამოკველვაზე გაგზავნილ იქნა-3, სამხედრო სამსახურისთვის შეზღუდულად ვარგისად იქნა ცნობილი-70, უვარგისად სამხედრო სამსახურისთვის-5.დროებით უვარგისი 4.

გამწვევი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, შეღავათი გაუფორმდა: 135 მღვდელმსახურს, 112-სტუდენტს, 17-მოსწავლეს, 15-დედისერთას, 23-ერთშვილიანს და 6-ორშვილიანს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გამოცხადებამდე 70 წვევამდელს.

პერიოდულად მიმდინარეობდა, პერსონალური უწყებების დარიგება ქალაქის ტერიტორიაზე და მუნიციპალიტეტის სოფლებში, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევ წვევამდელთა პირადი საქმეებისა და დოკუმენტების მომზადება, რეზერვში ჩასარიცხ მოქალაქეთა ბრძანების პროექტის მომზადება და რეზერვში ჩარიცხვა.

385 - წვევამდელის მასალები გადაეცა პოლიციას - ვინაიდან საცხოვრებელი რეგისტრაციის ადგილზე ვერ მოხერხდა დაუწყება .

26 მოქალაქეზე, გადაეცა მასალები პოლიციას - რადგან, ვერ ხერხდება მათი დაუწყება პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის მიზნით.

63 წვევამდელზე, გადაეცა მასალები სასამართლოს - ვინაიდან დაუწყების შემდეგ არ გამოცხადნენ გამწვევ კომისიაზე.

მოხსნილია სამხედრო აღრიცხვიდან საქართველოს სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით 25 გარდაცვლილი მოქალაქე, ასევე მოხსნილია და გადაყვანილია სამხედრო სპეც-აღრიცხვაზე-17, ხოლო საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის შეცვლასთან დაკავშირებით აყვანილია აღრიცხვაზე-9 მოქალაქე, ასევე გადაგზავნილია სხვადასხვა რეგიონებში რეგისტრაციის შეცვლასთან დაკავშირებით 7 მოქალაქე. სასამართლოებიდან შემოსული 65 განაჩენის ასლის შესახებ შესრულდა შესაბამისი ღონისძიებები, გაიცა რეზერვისტის დროებითი სამხედრო მოწმობა 61 რეზერვისტზე.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა G-1 სამმართველოდან მიღებულია 146 პირადი საქმე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე რეზერვში გადაირიცხა ზღვრული ასაკის (27 წელის) შესრულების გამო 180 მოქალაქე, ხოლო სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ 28 მოქალაქე

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წვრთნისა და სამხედრო განათლების სარდლობა/ G-1 სამმართველოს უფროსის მომართვის საფუძველზე გაგზავნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში გასაწვევად შერჩეულ კანდიდატთა 14 პ/საქმე .

სამხედრო აღრიცხვის გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის საქმისწარმოებისას, დამუშავდა (დოკუმენტების რეგისტრაციაში გატარება, რეზოლუციისათვის მომზადება, ადრესატებისათვის გადაცემა) 250 განცხადება, 290 შემოსული წერილი, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს გაეგზავნა 394 წერილი.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში შემოსული დოკუმენტაცია დამუშავებულ იქნა ელექტრონულად, ასევე მომზადდა მერის 65 ბრძანების პროექტი, 3 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ბრძანების პროექტი, გაგზავნილ იქნა 112 საფოსტო გზავნილი და შეიქმნა წვევამდელთა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის 44 - ოქმი.

შიდა აუდიტი და მონიტორინგი

მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2022 წლის 10 თვეში ჩატარდა სამი შიდა აუდიტორული შემოწმება (ორი ეფექტიანობის და ერთი შესაბამისობის აუდიტი), გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები

შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებს კონსულტაციები გაეწიათ საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი აქტივობებისა და პროცესების მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციებისა და ნორმატიული აქტების შესაბამისად წარმართვისათვის.

5. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით საანგარიშო პერიოდში კულტურული, ახალგაზრდული და სპორტული პროგრამების ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები:

- 2 იანვარს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით წყალტუბოს ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე მოეწყო საახალწლო ღონისძიებები:
  საახალწლოდ გაფორმებულ ჯიხურებში ადგილობრივი მეწარმეების მონაწილეობით გაიმართა საშობაო ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა; მოეწყო საბავშვო გასართობი სივრცეები; განთავსდა ფოტო გადასაღები სტენდები; საზეიმო

მსვლელობაში მონაწილეობდნენ ანიმატორები. თოვლის ბაბუას საჩუქრებმა პატარები განსაკუთრებით გაახარა.

- 3 მარტს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის პირველმა პირებმა დედის დღე მიულოცა, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა გმირების დედებს.

- 8 მარტს მოეწყო შეხვედრა ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების'' თანამშრომელ ქალბატონებთან. მათ თვითმმართველობის პირველმა პირებმა სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

- 21-22 მარტს მსოფლიო წყლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით წყალტუბოსა და ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურებმა და ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განვითარების განყოფილებამ, ერთობლივი ორ დღიანი გაცვლითი ღონისძიებების ორგანიზება უზრუნველყვეს. ახალგაზრდებმა მოამზადეს სხვადასხვა პრეზენტაციები თემაზე: ,,წყალტუბოს ისტორია" ,,კარსტული მღვიმეები" და ,,უნიკალური, სამკურნალო თვისებების თერმული წყალი".

- 1 აპრილს წყალტუბოში მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებითა და საგანმანათლებლო რესურს ცენტრის მხარდაჭერით ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?". ღონისძიებაში ჩართული იყო ქალაქის საჯარო და კერძო სკოლები. გამარჯვებულებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

26 მაისს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში ჩატარდა სპორტული აქტივობები:
მარათონის ტურნირი - წყალტუბოელი სპორტსმენების მონაწილობით.
მკლავჭიდის ტურნირი სხვადასხვა წონით კატეგორიებში, გოგონებსა და ვაჟებს შორის, 31 მაისს ჩატარდა გივი თალაკვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მძლეოსნობის ოთხ სახეობაში: 60-მ -ზე რბენი, ბირთვის ტყორცნა, ამანათრბენი და სიგრძეზე ხტომა.

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გასართობი ღონისძიებები გაიმართა. ქალაქის ცენტრალურ პარკში, კულტურულ და შემეცნებით აქტივობებსა და ასფალტზე ცარცით ხატვით კონკურსში პატარები ხალისით ჩაერთნენ.

- 5 ივნისს სახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გლიტერ ფესტი"/„Glitter fest" ჩატარდა.
  - ტრადიციული ღონისძიებით აღინიშნა 18 მაისს ეროვნული სამოსის დღე.

- 8 ივნისს მერიის ორგანიზებით ყველაზე ხალხმრავალი კონცერტი ჩატარდა წყალტუბო ისტორიაში, ჩატარდა გიორგი გაბუნიას „ღამის შოუ"-ს კონცერტი. ღონისძიება საკმაოდ მასშტაბური ფორმატით გაიმართა, წყალტუბომ 5000 მდე მაყურებელს უმასპინძლა.

-

მერიის ორგანიზებით, ზაფხულის სეზონზე, ცენტრალურ პარკში სისტემატურად იმართებოდა ფილმები ჩვენება.

- ინტელექტუალური კონკურსი „ეტალონი“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურისა და წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხარდაჭერით ჩატარდა,

- 22 ივლისს გაიმართა მუსიკალურ-შემოქმედებითი საღამო ზაზა კილასონიას მონაწილეობით.

- 8 აგვისტო 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-თეატრალიზებული ღონისძიება

- 27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული ღონისძიება.

- მასშტაბური ღონისძიებები მიეძღვნა სახალხო დღესასწაულს - „შემოდგომის წყალტუბოს“.

სპორტული ღონისძიებები

- ივნისის თვეში ჩატარებული კალენდარული ღონისძიებები:

- წყალტუბოში მოღვაწე წარმატებული სპორტსმენის სულიკო ნიქაბაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამოყვარულო მინი ფეხბურთის ტურნირი. საპრიზო ადგილზე გასული გუნდს გადაეცა ფულადი ჯილდო.

- შალვა ბზიკაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში, სხვდასხვა წონით კატეგორიებში. ტურნირში მონაწილეობა მიიღო 8 უნიციპალიტეტის 150 -მდე სპორტსმენი. საპრიზო ადგილზე გასულ სპორტსმენებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები.

- სექტემბერი: ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლების სხვადასხვა სახეობის სპორტში.

6. მუნიციპალიტეტის მერის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები:

2022 წლის 10 თვის განმავლობაში განხორციელდა სხვადასხვა პროექტები ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის, გზებისა და ტროტუარების შეკეთების, წყლის სისტემების, საკანალიზაციო და სანიაღვრე არხების მოწყობის, საცხოვრებელი სახლების, შენობა- ნაგებობების ფასადების, სახურავებისა და არქიტექტურული იერ-სახის გასაუმჯობესებლად.

საპროექტო წინადადებების მომზადების, ინიცირების, შერჩეული პროექტების ხარისხით, საკასო შესრულების, დადგენილ ვადებში პროექტების მიღება-ჩაბარებების და სხვა მნიშვნელოვანი პარამეტრების კუთხით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია ყველაზე მოწინავე პოზიციებზეა საქართველოს მუნიციპალიტეტებს შორის.

საანგარიშო პერიოდში ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის 62 ინფრასტრუქტურული ხელშეკრულება.

დასრულდა რგ(პ)ფ-ის მიერ 2021- 2022 წლების დაფინანების ფარგლებში შემდეგი გარდამავალი პროექტები:

1. სოფ. წყალტუბოში (მეორე უბნის და სოფელ ჩუნეშის დამაკავშირებელი გზის) რეაბილიტაცია;

2. სოფ. წყალტუბოში მე-10 ქუჩის, სოფ. გვიშტიბში 35-ე ქუჩის და სკოლასთან მისასვლელი გზების, სოფ. გვიშტიბში (ბეკნარას უბანი) გზების რეაბილიტაციის (ღირებულ-1048999 ლ) სამუშაოები.

მიმდინარე წელს რგ(პ)ფ-მა დააფინანსა 12 მსხვილი საგზაო ინფრასტუქტურული პროექტი, რომელთა ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება - 7 544 804 ლარია.

11 სოფელში და 20 - ზე მეტ მისამართზე დასრულდა ადგილობრივი მნიშვნელობის და შიდა სასოფლო გზების ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები;

ქუთაისი- ნოღას დამაკავშირებელ გზაზე (მეორე ეტაპი), სოფელ ბანოჯაში ბარბარეწმინდას უბანში, ასევე მე-2, მე-6, 21-ე, 22-ე და 26-ე ქუჩებზე, სოფელ გეგუთში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე, სოფელ ტყაჩირში აშვეთიების უბანში, სოფელ საყულიაში სვანაძეების უბანში, ახალ საყულიაში (სვანების დასხლება) პირველ და მე-2 შესახვევში, სოფ.მაღლაკში №5, №7, №8, №9, №10 ქუჩებზე, ასევე ჩეჩელაშვილების უბანში, სოფელ უკანეთში და სოფელ რიონში მამრიკიშვილების უბანში ტაძართან მისასვლელ გზებზე;

მიმდინარეობს და წლის ბოლომდე დასრულდება სოფ. ოფშკვითში - გუბას, კეპულაძეების, ჩხობაძეების, ძოძუაშვილების უბნებში, ქ. წყალტუბოში- გამსახურდიასა და ქუთაისის ქუჩების გაგრძელებაზე და სოფ. გვიშტიბში - მაცაბერიძეების და მე -10 ქუჩაზე გზების ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები. სოფ. გუმბრაში- კლუბის და იობიძეების უბანში,

მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პროგრამის ფარგლებში ცენტრალური ბიუჯეტიდან 399 999 ლარით დაფინანსდა სოფ. ლეხიდრისთავი- ლეყერეთის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 3 პროექტი სულ - 2 469 095 ლარი.

1.ქალაქ წყალტუბოს მიმდებარე ტერიტორიაზე ბიზნესისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნის მიზნით - თამარ მეფის ქუჩის გაგრძელებაზე, შპს ჰერბია-სთან მისასვლელი გზის ასფალტო-ბეტონის საფარით სარეაბილიტაციო სამუშაოები დაფინანსდა - 1 329 754 ლარით ;

2 ქ. წყალტუბოში, „ცივი ტბის" მიმდებარე ტერიტორიაზე თანხლები ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი საპირფარეშოს მოწყობის სამუშაოები დაფინანსდა-92294 ლარით;

3. ადგილობრივ ბიზნესებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შექმნის მიზნით, სოფ.ყუმისთავში „გაბზარულ ტბა"- სთან მისასვლელი გზისა და „საწურბლია"-ს და „პრომეთე"-ს მღვიმეებთან დამაკავშირებელი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები- დაფინანსდა -1 047 047 ლ.

2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით შესასრულებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 6 943 828 ლ.

1. სოფლების პატრიკეთისა და გეგუთის დამაკავშირებელი გზის (248722 ლ),

2. ქ. წყალტუბოში გოგებაშვილის ქ. 2 ბ საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ გზის რეაბილიტაციის (ღირებულება-248692 ლ),

3.სოფ. მაღლაკში მე -8 და მე- 9 ქუჩებზე გზების ბეტონის საფარით რეაბილიტაციის (ღირებულება 477493 ლ),

4. ხომულისა და ქვილიშორის დამაკავშირებელი გზის, ასევე სოფ ჩუნეშში ტაძართან მისასვლელი გზების (ღირებულება-548075 ლ),

5. რიონისა და სორმონის დამაკავშირებელი გზების (ღირებ.1096193 ლ),

6. სოფ. ფარცხანაყანევში ამაღლების უბანში N 60 ქუჩაზე გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები(ღირებულ214533 ლ).

დასრულდა 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული გარდამავალი პროექტები:

1. ქ. წყალტუბოში სამხატვრო სკოლის შეკეთების, სოფ. გვიშტიბის საჯარო სკოლაში გათბობის ქვაბის მოწყობის

2. ქ. წყალტუბოს მუსიკალური სკოლის ფასადის, სოფ. ტყაჩირსა და ახალ საყულიაში გარე განათების ქსელის მოწყობის,

3. სოფ რიონში სასმელი წყლის ქსელის მოწყობისა და მე- 3 საჯარო სკოლის სახურავის შეკეთების,

4.სოფ. მუხიანში ქაჭარის უბანში და სოფ. საყულიაში მინი სპორტული მოედნების სამუშაოები.

დასრულებულია მ/ წლის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული

გ. ტაბიძის ქუჩაზე სარკინიგზო გადასასვლელის მოწყობის, სოფელ რიონის საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის რეაბილიტაციის ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩაზე საზოგადოებრივი სივრცის მოწყობის, სოფელ გუმბრაში (გუმბრინის დასახლება) მე-12 და მე-13 ბინების საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები;

ცენტრალური ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე გზების რეაბილიტაციის, სოფელ მუხიანის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბროწეულას დასახლებაში დაზიანებული საკანალიზაციო გადამქაჩი სადგურის ტუმბო-აგრეგატის შეძენის, სოფელ ყუმისთავში გაბზარულ ტბასთან მისასვლელი გზის მიმდებარედ და სოფელ გვიშტიბში ბობოხიძეების უბანში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები.

სოფელ ხომულში და სოფელ მაღლაკში დაზიანებული მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაციისთვის საჭირო მასალები (მილების, ურდულების, გადამყვანი უნაგირების, დაბოლოების ჩამკეტების და ქუროების) შესყიდვის, ქალაქ წყალტუბოში, სოფელ გუმბრაში დაზიანებული სასმელი წყლის ქსელის დაუყოვნებლივ აღდგენისათვის ახალი ტუმბო-აგრეგატის კომპლექტის შეძენის, ცენტრალურ პარკში ჩოგბურთის კორტებზე გასახდელების შენობის სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები.

მიმდინარეობს ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილისა და რუსთაველის ქუჩების დამაკავშირებელი გზის (273555 ლ), ქ. წყალტუბოში 9 აპრილის ქუჩის N9-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საძირკვლის და საყრდენი კედლების გამაგრებითი სამუშაოები (ღირებ. 86431 ლ), ქალაქ წყალტუბოში, ევდოშვილის ქუჩაზე წყალშემკრები არხების და ფერდის შემაკავებელი კედლის მოწყობის, ასევე ლერმონტოვისა და კეცხოველის ქუჩებზე, გოგებაშვილის ქუჩაზე წყალშემკრები არხების მოწყობის (ღირებულებით 449180 ლ) მოწყობის სამუშაოები.

,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში 14 საცხოვრებელ კორპუსში შესრულდა სახურავებისა და სადარბაზოების თანადაფინანსებით შეკეთების სამუშაოები. დასრულდა: ქ. წყალტუბოში, თამარ მეფის ქუჩა N16-ის მე-3 სადარბაზოს, აკ. შანიძის ქუჩა N9, გ.ტაბიძის ქუჩა N3ა-ს პირველი სადარბაზოს სახურავის, ჩოლოყაშვილის ქუჩა N1-ის მეორე სადარბაზოს შეკეთებისა და ეზოს კეთილმოწყობის, აკ. შანიძის ქუჩა №4 სახლის სახურავის , გ. ტაბიძის ქუჩა N13-ის, დედაენის ქ. № 34-ის,თამარ მეფის № 17-ის, დედაენის ქ. № 20-ის,ბესიკის ქ. № 11-ის და 9 აპრილის № 1ა, სოფ. მაღლაკში იმერეთის საყრდენ პუნქტში № 3, დედაენის № 22 და კოსტავას ქ. № 2 საცხოვრებელი სახლების კორპუსების სახურავების დს სადარბაზოების შეკეთებითი სამუშაოები.

მიმდინარეობს სოფ. გუმბრაში (გუმბრინის დასახლება) N 12 საცხოვრებელი სახლის სახურავის შეკეთების სამუშაოები,. 2 მისამართზე გამოცხადებულია

ტენდერები. სულ ამ მიმართებით შეკეთებითი სამუშაოებისათვის მიმდინარე წელს ადგილობრივი ბიუჯეტის შეაბამისი პროგრამული მუხლიდან - 350 000 ლარია გამოყოფილი (50 ათასი ლარით მეტი გასულ წელთან შედარებით).

საანგაროშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტიდან 187823 ლარით დაფინანსდა მუნიციპალიტეტის შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები (ღირებულებით 113400 ლარი) და შეკეთებული იქნა 2022 წლის 22 და 23 მარტს მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად, სოფელ ფარცხანაყანევში (კოპიტნარის დევნილთა დასახლებაში), ქალაქ წყალტუბოში: კოლხეთის ქუჩაზე №6, ბესიკის ქუჩაზე №1, თამარ მეფის ქუჩაზე №11, დედა ენის ქუჩაზე №9, 26 მაისის ქუჩაზე №3, 9 აპრილის ქუჩაზე № 3 და №7 საცხოვრებელი კორპუსების დაზიანებული სახურავები. 380999 ლარით დაფინანსდა და აღდგენილი იქნა 22-23 ივნისს სტიქიის შედეგად დაზიანებული საავტომობილო გზები სოფ. წყალტუბოს, ცხუნკურის, მექვენის, ოფურჩხეთის, დღნორისის და რიონის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

წყალტუბოს კეთილმოწყობისა და საზოგადოებრივი სივრცეების გაფართოების, სანიტარულ - ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 39073 ლარი 222 ხის სანაგვე ურნის შეძენისათვის.

,,სამოქალაქო ბიუჯეტის" პროგრამის ფარგლებში შეძენილია 36 ხის ძელ სკამი წარწერით ,, წყალტუბო" (ღირებულ-17944 ლ) და ხის 50 ცალი სანაგვე ურნა. რუსთაველის ქუჩაზე განხორციელდა საზოგადოებრივი სივრცის მოწყობისა და ხეების დარგვის, მათი მოვლა- გადაბელვის სამუშაოები-(ღირებულება -61766 ლ). ამავე ბიუჯეტის ფარგლებში შესყიდულია საქართველოს რუკის კონტურის ფორმის ქუჩების დასახელებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრები.

დელეგირებული უფლებამისილების ფარგლებში მუნიციპალიტეტისათვის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით საგანმანათლებლო და სამეცნიერო განვითარების საგენტოს მიერ გამოყოფილი დაფინანსებით შპს ,,მარმენიოს" 2022 წლის 14 იანვრის ხელშეკრულების შესაბამისად გაწეული მომსახურებისათვის 2022 წლის იანვარში ჩაერიცხა -20892 ლარი, თებერვალში გაწეული მომსახურებისათვის - 30070 ლარი, მარტში- 35516 ლარი, აპრილში-39694 ლარი, მაისში-39694, ივნისში-22981 ლარი, სექტემბერში- 24462 ლარი.

დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელდა სოფელ გეგუთში (ვარციხჰესის დასახლება), სოფელ ზედა მესხეთში (ბროწეულას საჯარო სკოლა) და ქ. წყლტუბოს მე-3 საჯარო სკოლაში სახურავების შეკეთება- რეაბილიტაციის სამუშაოები, ჯამური ღირებულებით 119442 ლარი.

,, სოფლის მხარდაჭერის " 2022 წლის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტს გამოეყო 704 000 ლარი. მუნიციპალიტეტის ყველს სოფელში მ/ წლის თებერვალში ჩატარდა მოსახლეობის კრებები. მათი აქტიური მონაწილეობით, თითოეული სოფლისათვის გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში შერჩეული იქნა 59 პროექტი,

რომლებიც ითვალისწინებს შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის, მზა ბეტონის და სასმელი წყლის მილების შეძენის , სპორტული მოედნების მოწყობის, სკვერების რეაბილიტაციის, საბავშვო- გასართობი ატრაქციონების, გარე განათების ქსელების, ღვარსადენი არხების მოწყობის სამუშაოებს. ამ პროგრამის ფარგლებში სამუშაოები მიმდინარე წლის 15 ნოემბრამდე დასრულდება.

,,განახლებული რეგიონების" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთითა და დაფინანსებით, ქ. წყალტუბოში, ტაბიძის ქუჩაზე მიმდინარეობს საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაციის, გზის გასწვრივ არსებული ტროტუარების და სივრცეების კეთილმოწყობის, გ. ტაბიძისა და აკ. შანიძის ქუჩების დამაკავშირებელი კიბეების რეაბილიტაციის სამუშაოები, რომელიც დაფინანებულია მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. მგფ-მა სამსახურის მიერ წარდგენილი წინადადებების გათვალისწინებით სარეაბილიტაციო საცხოვრებელი სახლების ნუსხაში დამატებით შეიტანა შანიძის ქ. № 4 მრავალბინიანი სახლის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში დასრულდა მარჯანიშვილის მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები.

მუნიციპალური ფონდის დაკვეთით მიმდინარეობს სოფ მაღლაკში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საავტომობილო გზების დეპატრამენტის მიერ ქ. წყალტუბოში დასრულდა მარჯანიშვილის მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მოსახლეობის მოთხოვნით სხვადასხვა მისამართებზე მოწყობილი იქნა მგზავრთა მოსაცდელები და ეს პროცესი ეტაპობრივად გაგრძელდება.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დაკვეთით ქ. წყალტუბოში დაიწყო და 2024 წლის ბოლოსთვის დასრულდება კანალიზაციის გარეშე დარჩენილ ქუჩებში საკანალიზაციო ინფრასტრუქტურის მოწყობის მასშტაბური სამუშაოები, რომლის ღირებულება დაახლოებით 25 მლნ. ლარია. პროექტის დასრულების შემდეგ მოსახლეობისათვის ეს პრობლემა მთლიანად იქნება მოგვარებული და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქალაქის სანიტარულ- ჰიგიენურ მდგომარეობას.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში 2023 წელს დაფინანსების გამოყოფისათვის გადაგზავნილია 21 პროექტი, რომელთა საერთო ღირებულება 14 მლნ. ლარს აღემატება.

8. მუნიციპალიტეტის მერის მიერ საანგარიშო პერიოდში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების რაოდენობა შეადგენს 3324 -ს.

9. საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის მერმა ხელი მოაწერა:

ქალაქ წყალტუბოსა და ქალაქ შილუტეს (ლიეტუვა) შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელიც ორ დამეგობრებულ ქალაქს შორის ეკონომიკის, ტურიზმის, კულტურისა და სპორტის სფეროებში თანამშრომლობას, ასევე საერთო ინტერესების დაცვასა და მეგობრობის განმტკიცებას ითვალისწინებს.

რუმინეთის ქალაქ გალაცში ვიზიტის ფარგლებში მერმა ასოციაცია ,,ტექნოპოლ გალაცთან" მომავალი თანამშრომლობის შეთანხმებას მოაწერა ხელი, რომელიც გარემოს დაცვის მიმართულებით, ასევე ეკონომიკის, ტურიზმის, კულტურის სფეროებში გამოცდილებათა გაზიარებასა და ერთობლივი პროექტების განხორციელებას ითვალისწინებს.

საანგარიშო პერიოდში ხელი მოეწერა ქალაქების წყალტუბოსა და ვანაძორის დამეგობრების მემორანდუმს.

10. **მუნიციპალიტეტის მერმა მიიღო 490 მოქალაქე, შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობამ შეადგენა - 2821**

11. მოქალაქეთა პრობლემებზე მერის მიერ რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი საკითხები):

მოქალაქეთა პრობლემებზე რეაგირება ხდება იმ პროგრამებისა და პროექტების მიხედვით, რომელიც მერიამ შეიმუშავა საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. კერძოდ, გაცემულია დახმარებები სოციალური პაკეტიდან ჯანდაცვის პროგრამებით, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხდება მოქალაქეთა განცხადებებისა და პრიორიტეტების

განსაზღვრის გზით. მერიის მხრიდან, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება შუამდგომლობა სახელმწიფო სტრუქტურებსა და კერძო კომპანიებთან, კონკრეტული პრობლემის მოგვარების მიზნით.

II. მუნიციპალიტეტის მერის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში განვითარდა საერთაშორისო ურთიერთობები, დამეგობრებულ ქალაქებთან მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბების მიზნით, 4 ქვეყნის (ლიტვა, ლატვია, პოლონეთი, მოლდოვა) დელეგაციები მოწვეულ იქნენ წყალტუბოს ტრადიციულ სახალხო დღესასწაულზე ,,შემოდგომის წყალტუბო 2022''. წყალტუბოს მუნიპალიტეტის მერი გენადი ბალანჩივაძე ოფიცალური ვიზიტით იმყოფებოდა ქალაქ უნგენში (მოლდოვა), ქალაქ გალაცში(რუმინეთი).

შევსების თარიღი 31 10.2022

წარდგენის თარიღი 31 .10.2022

ხელმოწერა ----------